საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 27 იანვარი, 2014 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/05

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტისა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-5 მუხლს დაემატოს 24^1 და 24^2 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,24^1. სტუდენტს უფლება აქვს საგანი/საგნები საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამის დისციპლინის პედაგოგთან შეთანხმებით გაიაროს ინდივიდუალურად დეკანის მიერ დადგენილი განრიგის შესაბამისად".

,,24^2. საგნის/საგნების ინდივიდუალურად გავლის შემთხვევაში საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამის დისციპლინის პედაგოგთან შეთანხმებით კრედიტში/კრედიტებში საათების განსხვავებულ რაოდენობას ადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი".

2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალი-ბდეს შემდეგნაირად:

,,3. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატის ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტის მფლობელს. მუსიკის ფაკულტეტზე აგრეთვე სავალდებულოა სპეციალური მუსიკალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა".

3. დადგენილებით იხელმძღვანელონ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტა-მენტმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და შესაბამისმა ფაკულტეტებმა.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**